სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/212

ქ. თბილისი

29 დეკემბერი 2022 წ.

სსიპ -საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდებაში ცვლილების შეტანის შესახებ
პროექტის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-8 და 48-ე მუხლების შესაბამისად და აკადემიური საბჭოს 2022 წლის 29 დეკემბრის №01-05-02/38 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. მოწონებული იქნეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების პროექტი - „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის N133/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“, რომელიც ითვალისწინებს

უნივერსიტეტის ახალი ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის - მედიცინის ფაკულტეტის შექმნასთან დაკავშირებით, დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობის გათვალისწინებით, პროფესორის და ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე პირის არჩევის ვადებისა და ატესტაციის თაობაზე წესდების შესაბამის ნორმებში ცვლილების შეტანას.

2. პროექტი კანონმდებლობის შესაბამისად წარედგინოს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს (სენატს).
3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**